585
1966/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 3 (302)

1966 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (302) მარტი 1966 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

34. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის თაობაზე კანონმდებლობის შესრულების შესახებ.

35. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიას რაიონში.

36. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამხ. ამხ. უ. გ. თარგამაძის, გ. ე. სვანიძის და ა. პ. წიქარიძის გათავისუფლებისა და პათი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახმეტის რაიონის ცენტრის — დაბა ახმეტის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამბროლაურის რაიონის ცენტრის — დაბა ამბროლაურის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის დაბად გარდაქმნის შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის სასოფლო საბჭოდან სოფელ როხის გამოყოფისა და როხის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ორჯონიკიძის რაიონში ზვარეს და ხევის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკური სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის რაიონების და ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლეების არჩევნების ჩატარების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვ. ა. ხირსელის გათავისუფლების და არჩევნების ჩატარების შესახებ.

## განყოფილება მეორე

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ვარშამოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. დუდჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ლ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ყ. თავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ პ. ლ. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. პ. მაჩიტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. სვანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ვ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. ფანიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ჩაჩიბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ძებისაშვილის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. ს. ასლანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ს. ა. ვართანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## ႢႠႬႷႭႴႨႪႤႡႠ ႫႤႱႠႫႤ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივ კომისიაში.

საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 32 „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ: სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობისა და სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მუშაკებს, რომლებმაც სავაჭრო ორგანიზაციებში უწყვეტლივ იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საქმეში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1966 წლის 17 მარტი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 33 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5ა პუნქტი:

„5ა. „საგამომძიებლო განყოფილების უფროსი“ ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა საგამომძიებლო სამმართველოს, განყოფილების, ქვეგანყოფილების უფროსს, ან უფროსის მოადგილეებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ“.

2. 126-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 126. **დანაშაული, რომელზეც სავალდებულოა წინასწარი გამოძიება და ქვემდებარეობის განსაზღვრა**

წინასწარი გამოძიება სავალდებულოა ყველა საქმეზე, გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95 I ნაწ., 99, 112, 116 I ნაწ., 137 I ნაწ., 138, 172 I ნაწ., 173, 175, 177-180, 216-223, 228 I და III ნაწ., 234 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისა — მათი წინასწარი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძიება წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის სასამართლო ან პროკურორი.

წინასწარი გამოძიება სავალდებულოა ყველა დანაშაულის საქმისა, რაც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ თვითონ განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72, 75, 78, $78^{1}$, 81-83, 86, $102^{1}$, 103-109, 117-120, 123, 125, 128-134, 137 II და III ნაწ., 139-149, 159, 160, 163, $163^{1}$, 181, 183, 184, 186-196, 207-209, $209^{1}$, 224-227, 231, 233, 235, 236, 244-247, 250, 251, 256-276, 277 „დ" და „ე" პუნქტებით, 278-287 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65-71, 73, 74, 76, 77, 79, 80, 84, 85 მუხლებით და 277 მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით, გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების გამოძიებას — აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87, 88, 91-93, 95, II ნაწ., 96, 97, 98, 100-102, 110, 111, 113-115, 116 II ნაწ., 121, 122, 124, 126, 127, 135, 136, 150-158, 161, 162, 164-171, 172 II ნაწ., $173^{1}$, 174, 176, 182, 203, 204, 210-215, 228 II ნაწ., 229, 230, 232, 237-243, 248, 249, 252-254 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლებიც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89, 94 და $96^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებს ის ორგანო, რომელმაც აღძრა სისხლის სამართლის საქმე; თუ კი ამ საქმეების გამოძიებისას დადგინდება თანამდებობრივი დანაშაული (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-191 მუხლები), რაც იმ დანაშაულთანაა დაკავშირებული, რომლის გამოც აღიძრა საქმე — მას გამოიძიებს საქმის აღმძვრელი ორგანო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 90, $90^{1}$, 197-202, 205, 206 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებს ორგანო, რომლის საგამომძიებლო ქვემდებარეობას ეკუთვნის ის დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც არის აღძრული ეს საქმე".

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $127^{1}$ მუხლი:

„მუხლი $127^{1}$ **საგამომძიებლო განყოფილების უფროსის უფლებამოსილება**

საგამომძიებლო განყოფილების უფროსი კონტროლს უწევს გამომძიებლების იმ მოქმედებათა დროულობას, რომლებიც დანაშაულის გამომჟღავნებისა და აცილებისკენაა მიმართული, იღებს ზომებს რაც შეიძლება სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება.

საგამომძიებლო განყოფილების უფროსს უფლება აქვს შეამოწმოს სისხლის სამართლის საქმეები, მისცეს გამომძიებელს მითითება წინასწარი გამოძიების წარმოების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციის, ბრალდების მოცულობის, საქმის წარმართვისა და ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების შესახებ, გადასცეს საქმე ერთი გამომძიებლისაგან მეორეს, დაავალოს გამოძიება რამდენიმე გამომძიებელს, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში ან პირადად აწარმოოს წინასწარი გამოძიება გამომძიებლის უფლებამოსილებით.

საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გამომძიებელს წერილობით აძლევს მითითებას სისხლის სამართლის საქმეზე და ამ მითითების შესრულება სავალდებულოა.

მიღებული მითითების პროკურორთან გასაჩივრება არ შეაჩერებს მის შესრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 127-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორის მითითება, რომელიც მიცემულია ამ კოდექსით დადგენილი წესების დაცვით, სავალდებულოა საგამომძიებლო განყოფილების უფროსისათვის და ზემდგომ პროკურორთან ამ მითითების გასაჩივრება არ შეაჩერებს მის შესრულებას".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის თაობაზე კანონმდებლობის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. პ. ბერძენიშვილის მოხსენება, აგრეთვე პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მასალები, აღნიშნავს, რომ რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობა უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციას და მექანიზაციას, საწარმოო და სანიტარულ-ჰიგიენურ ნაგებობათა მშენებლობას, უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესწავლას და წარმოების მაღალი კულტურისათვის შეჯიბრების გაშლას.

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად შემცირდა ტრავმატიზმისა და პროფესიონალურ დაავადებათა შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევათა საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ დიდია.

მაგალითად, 1965 წლის მანძილზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აღირიცხა საწარმოო ტრავმატიზმის მნიშვნელოვანი რაოდენობის შემთხვევები, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ტრავმატიზმის 33 შემთხვევა. აღნიშნულ საწარმოებში, ტრავმატიზმის გამო საავადმყოფო ფურცელზე გადასვლასთან დაკავშირებით, 1965 წელს დაიკარგა 4644 შრომადღე.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საავადმყოფო ფურცლებით და დახმარების სახით გაცემული თანხები. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ასეთმა ხარჯებმა 1965 წელს 58398 მანეთი შეადგინა.

არც თუ ისე იშვიათია წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის თაობაზე მოქმედი დებულების მოთხოვნათა დარღვევა, რაც გამოიხატება უბედურ შემთხვევათა დაგვიანებულ და არაზუსტ გამოკვლევაში და თვით დაზარალებულთა მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენებაში.

მეტალურგიულ საწარმოთა ზოგიერთ საამქროში ჯერ კიდევ დიდია ჰაერში მტვრისა და მავნე აირების ოდენობა (საგრანულაციო და სამსხვრევ უბნებზე, დოზირების მოედნებზე და ანტრაციტის ტრანსპორტირების ხაზზე — ფეროშენადნობთა ქარხანაში; საჩამომსხმელო, კოქსქიმიურ, კირ-დოლომიტისა და აგლოდომენურ საამქროებში — მეტალურგიულ ქარხანაში), საწარმოო ხმაური და ვიბრაცია მნიშვნელოვნად აღემატება დაწესებულ ნორმებს.

მტვრისა და მავნე აირების დიდი ოდენობით არსებობა გამოწვეულია ქარხნებში სავენტილაციო მეურნეობის მოუწესრიგებლობით. მაგალითად, მეტალურგიულ ქარხანაში სავენტილაციო დანადგართა საგრძნობი ნაწილი არაეფექტურად მუშაობს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საწარმოები ვერ ითვისებენ სავენტილაციო მეურნეობის მოწესრიგებისათვის განკუთვნილ თანხებს; რუსთავში ათვისებულია ამ თანხების მხოლოდ 67 პროცენტი, ხოლო ზესტაფონში — 78 პროცენტი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშა ქალებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნას. მაგალითად, მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც 3000-მდე ქალი მუშაობს, ქალის პირადი ჰიგიენის ოთახების რაოდენობა საკმარისი არ არის, იმ დროს, როდესაც არსებული ნორმებით ას ქალზე ერთი ასეთი ოთახია გათვალისწინებული.

ქარხნებში არ არის საკმარისი რაოდენობის გამაფრთხილებელი წარწერები და პლაკატები უსაფრთხობის ტექნიკის საკითხებზე, საამქროებში სათანადოდ არ არის მოწყობილი უსაფრთხობის ტექნიკის კუთხეები.

პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული შრომის დაცვისა და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ თავიანთ უფლებებს,

ხშირად კმაყოფილდებიან არსებულ ნაკლოვანებათა მხოლოდ ფიქსირებით და ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ.

ნაკლოვანებანი, რომლებიც არსებობს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის განხორციელებაში, გამოწვეულია იმითაც, რომ რუსთავის და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხების შესწავლასა და განხილვას. სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ ამ კანონმდებლობას.

რუსთავისა და ზესტაფონის პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ არ უწევენ სათანადო ზედამხედველობას შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის განხორციელების საქმეს, მკაცრ პასუხს არ სთხოვენ თანამდებობის პირთ, რომლებიც უხეშად არღვევენ ამ კანონმდებლობას და ზომებს იღებენ მხოლოდ იმ უბედური შემთხვევების გამო, რომლებსაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ამხ. ს. შარაძენიძეს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორს ამხ. ზ. ჩხეიძეს დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კალენდარული გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე.

ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოს.

2. დაევალოს რუსთავის და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. ნ. ებრალიძე, მ. სამხარაძე) მეტი ყურადღება მიაქციონ საწარმოებში შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობას, საბჭოების მუდმივი კომისიების და დეპუტატების მონაწილეობით ამ საკითხების პერიოდულად შესწავლას და განხილვას, განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების გამო, სათანადო დასკვნები გამოიტანონ იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ მას.

3. პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ გააძლიეროს შრომის დაცვის განყოფილებისა და პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტების პასუხისმგებლობა, რათა მათ ქმედითი კონტროლი გაუწიონ საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად შესრულებას.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ბერძენიშვილი) კიდევ უფრო გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი, უზრუნველყოს ზემოქმედების სათანადო ღონისძიებების მიღება იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ ამ კანონმდებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 23 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიას რაიონში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რ. ხოფერიას მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგის ამხ. მ. ბაღათურიას თანამოხსენება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიას რაიონში“ აღნიშნავს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად რაიონში განხორციელებულია გარკვეული ღონისძიებები.

1965 წლის 16 ივლისს რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა საკითხი „რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

რაისაბჭოს აღმასკომმა სოფელ ფოცხოში ჩაატარა გამსვლელი სხდომა, რომელზეც განიხილა საკითხი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იხილავენ სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი — 1965 წელს რაიონში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების 21 ახალი ობიექტი, დაინერგა მომსა-

ხურების მრავალი ახალი სახეობა და ფორმა, გადიდდა საყოფაცხოვრებო მომ-სახურების მოცულობა, ამაღლდა მისი კულტურა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 1965 წლის გეგმა ქ. ცხა-კაიაში შესრულდა 101,1 პროცენტით.

ამასთანავე, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რაიონში ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. განსაკუთრებით დაბალ დონეზეა სოფლის მოსახლეობის მომსახურება, რომლის გეგმა 1965 წელს მხოლოდ 54 პროცენტით შესრულდა, ხოლო მიმდინარე წლის ორი თვისა — 87,3 პროცენტით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მოწყობაში ნაკლებ ინიცია-ტივას იჩენენ ზოგიერთი სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობები და საბ-ჭოთა მეურნეობები. 14 სასოფლო საბჭოდან 3 სასოფლო საბჭოს ტერიტორია-ზე არც ერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი არ არის.

რაიონში მცირე რაოდენობით არის აბანოები (არსებული 7 აბანოდან მუ-შაობს მხოლოდ 3), ფეხსაცმლის შემკეთებელი და სამკერვალო სახელოსნოე-ბი, საპარიკმახეროები და სხვ. დღემდე არ არის გახსნილი ქეთილმომსახურების ბიურო, მაცივრების, რადიომიმღებების და სარეცხი მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში დაბალია წარმოების და მომსახურების კულტურა, ზოგი მათგანი მოთავსებულია შეუფერებელ ბინებ-ში, სახელოსნოებს არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობის ინვენტარი, ხელსაწყო-იარაღები და მასალები.

ცუდად მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშე-ნებლობა. გასულ წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებ-ლობისათვის გათვალისწინებული 28 ათასი მანეთიდან ათვისებულ იქნა 15 ათასი მანეთი, ხოლო ავტოპროფილაქტორიის მშენებლობისათვის გათვალისწი-ნებული 20 ათასი მანეთიდან — 6 ათასი მანეთი. ჯერ კიდევ გვხვდება კერძო რეწვის შემთხვევები, რომელსაც არავინ უწევს სათანადო კონტროლს. ნაკლე-ბი ყურადღება ექცევა სახელოსნოების სპეციალიზაციას და გამსხვილებას. რაიონში არსებული 121 ობიექტიდან 37-ში თითო კაცი მუშაობს.

სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობისადმი. ამ საქმეში ფართოდ არ არიან ჩაბმული საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ რაიო-ნული საბჭოს აღმასკომს ჯერ კიდევ არ განუხორციელებია საკმარისი ღონის-ძიებები საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სე-სიის დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმას-კომს (ამხ. რ. ხოფერია) საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის 1965 წლის 18 ივნისის დადგენილების შესაბამისად გაატაროს ყველა ღონისძიება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობე-სებისათვის, ამ მიზნით;

ა) აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. გააძლიეროს კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას და მტკიცე კონტროლი დააწესოს მათ განხორციელებაზე;

გ) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის შემოწმებაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი, წესად შემოიღოს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა ანგარიში ჩააბარონ საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელებსა და მოსახლეობას;

დ) პრაქტიკაში შემოიღოს ხელოსანთა ბრიგადების გასვლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად;

ე) გაამსხვილოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, მიიღოს ზომები მომსახურების თვითღირებულების შემცირებისა და სახელოსნოების რენტაბელობის განმტკიცებისათვის;

ვ) მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს (ამხ. ფ.· დუმბაძე):

უზრუნველყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტების მშენებლობისა და არსებული ობიექტების გაფართოების 1966 წლის გეგმის შესრულება, გააუმჯობესოს საყოფაცხოვრებო ობიექტების სათანადო მასალებითა და დანადგარებით მომარაგების საქმე; შეიმუშაოს ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის; გააფართოვოს სახელოსნოები და მიმღები პუნქტები იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში არსებითად გაუმჯობესდეს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეამოწმონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 36 სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ამხ. ამხ. უ. გ. თარგამაძის, გ. ე. სვანიძის და ა. პ. წიქარიძის გათავისუფლებისა და მათი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გათავისუფლდეს ამხ. უშანგი გრიგოლის ძე **თარგამაძე** ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან;

ამხ. გრიგოლ ეზეკიას ძე **სვანიძე** მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან;

ამხ. ავთანდილ პავლეს ძე **წიქარიძე** ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან.

2. დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. ამხ. **უ. გ. თარგამაძე, გ. ე. სვანიძე** და **ა. პ. წიქარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მათ არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 37 ახმეტის რაიონის ცენტრის — დაბა ახმეტის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას ახმეტის რაიონის ცენტრი — დაბა ახმეტა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ახმეტის სადაბო საბჭო — ახმეტის საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 38 ამბროლაურის რაიონის ცენტრის — დაბა ამბროლაურის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას ამბროლაურის რაიონის ცენტრი — დაბა ამბროლაური რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ამბროლაურის სადაბო საბჭო — ამბროლაურის საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 39 დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას დუშეთის რაიონის სოფელი ფასანაური დაბად, ხოლო ფასანაურის სასოფლო საბჭო — ფასანაურის სადაბო საბჭოდ.

გაუქმდეს დუშეთის რაიონის სოფლები: ბიბილიანი, წითლიანი, ქვათარაანი, ხამუშა და ჩაბარუხი მათი დაბა ფასანაურთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის სასოფლო საბჭოდან სოფელ როხის გამოყოფისა და როხის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს მაიაკოვსკის რაიონის სოფელი როხი ვარციხის სასოფლო საბჭოს და შეიქმნას როხის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ როხში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 ორჯონიკიძის რაიონში ზვარეს და ხევის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს მოლითის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზვარე, წუნისი, ჩრდილი და შეიქმნას მათგან ზვარეს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ზვარეში.

2. გამოეყოს ხუნევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ხევი, გრიგალათი, დიდი გოლისი, პატარა გოლისი, ციცქიური, წაქვა, ნადაბური და შეიქმნას მათგან ხევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ხევში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკური სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკური სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. იოსებ ივანეს ძე **ჩოდრიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 44 ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის რაიონების და ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლეების არჩევნების ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის რაიონების და ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლეების უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის რაიონების და ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლეების არჩევნები კვირას, 1966 წლის 17 აპრილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1966 წლის 29 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 45 ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვ. ა. ხირსელის გათავისუფლების და არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვიქტორ ამბროსის ძე **ხირსელი** ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

დაინიშნოს ქ. გორის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1966 წლის 17 აპრილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1966 წლის 29 მარტი.

### განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 46 ამხ. დ. ი. ვარშამოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ვოკალური ხელოვნების პროპაგანდაში დამსახურებისათვის, გნესინების სახელობის მოსკოვის სახელმწიფო მუსიკალური პედაგოგიური

ინსტიტუტის მასწავლებელს ამხ. დავით ივანეს ძე ვარშამოვს მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 ამხ. ე. ი. დუდჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მსუბუქი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ევგენია ივანეს ასული დუდჩენკო დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 3 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 ამხ. შ. ლ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საქშახტმშენის ტრესტის მმართველი ამხ. შალვა ლევანის ძე გარდაფხაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 49 პროფესორ ი. ქ. თავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხელოვნების დარგში კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ილია ყაისარის ძე თავაძე **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 50 პროფესორ პ. ლ. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პროკლე ლევანის ძე კეკელიძე **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 51 ამხ. მ. პ. მაჩიტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგოსისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. მირიან პარმენის ძე მაჩიტაძე **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 ამხ. გ. გ. სვანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის დირექტორი ამხ. გივი გიორგის ძე **სვანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 ამხ. რ. ვ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი ამხ. რუბენ ვასილის ძე **სირაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 ამხ. ვ. კ. ფანიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს „საქმთავარენერგოს" თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ფანიევი**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 55 ამხ. ნ. ა. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნესტორ ათანასეს ძე ღლონტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 56 ამხ. გ. მ. ჩაჩიბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გიორგი მელიტონის ძე ჩაჩიბაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 23 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 57 ამხ. ი. ი. ძებისაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქხეტყესაშენვაჭრობის“ მმართველი ამხ. ისაკი იოსების ძე **ძებისაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1966 წლის 23 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 58 პროფესორ შ. ს. ასლანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი შალვა სოლომონის ძე **ასლანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1966 წლის 26 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 59 პროფესორ ს. ა. ვართანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი სენეკერიმ ავე-

ტიკის ძე ვართანიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 29 მარტი.

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მჭედლიშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წინადადებათა შესახებ სიმთვრალესთან ბრძოლის მოქმედ კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ვ. მაისურაძემ, ბ. ქლენტმა, ნ. ებრალიძემ, ვ. გელაშვილმა, ე. ბართაიამ, და შ. ფირცხალავამ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ე. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ვეფხვაძემ, პროფესორმა ამხ. ბ. ფურცხვანიძემ, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. გაბიანმა.

კომისიამ მიიღო წინადადება, რომ სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და ეს საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. დანარჩენი წინადადებანი, რომლებიც დაკავშირებულია სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან, დამატებითი შესწავლისათვის გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

### საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო

კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეთა მოადგილეები.

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება „რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები, დეპუტატები ზ. ჯაფარიძე, ი. მღებრიშვილი, და ზ. პატარიძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კერესელიძე, „საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილე გ. ბოკუჩავა, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. კოპაძე, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ალიევი, ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ხოფერია, ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. მამაცაშვილი, ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე რ. პაიჭაძე.

კომისიამ გადაწყვიტა, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და დაბაში კეთილმოწყობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი განსახილველად შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 23 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 231 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისში | | 10 |
| ახალქალაქის | რაიონში | 38 |
| ბოგდანოვკის | „ | 13 |
| გორის | „ | 9 |
| ზუგდიდის | „ | 10 |
| თიანეთის | „ | 3 |
| ლანჩხუთის | „ | 1 |

| | | |
|---|---|---|
| მარნეულის | „ . . . . . . . . | 92 |
| მესტიის | „ . . . . . . . . | 12 |
| სამტრედიის | „ . . . . . . . . | 7 |
| საჩხერის | „ . . . . . . . . | 16 |
| ქარელის | „ . . . . . . . . | 12 |
| ხობის | „ . . . . . . . . | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა